

## კაცი ჰქმნის ფულსა, თუ ფული კაცსა?

“მამ ჩვენი უღონობა და უძლურება რად უნდა დავაბრალოთ ფულის უქონლობას? მართალია, ფულის უქონლობა ეხლანდელს დროში ნაკლებულობაა, მაგრამ ეს ნაკლებულობა თავისთავად იმისთანა რამ არ არის, რომ ავიღოთ და ჩვენი უღონობა ამას მოვახვიოთ კისერზედ.

ჩვენის ფიქრით, უფულობა შედეგია და არა მიზეზი უძლურებისა და უღონობისა და ამიტომაც ტყუილი ნუგეშია, ვინც თავის უღონობასა და უძლურებას ფულის უქონლობას აბრალებს.

ფული და ერთობ სიმდიდრე თავისთავად არავის უვარდება ხელში და ვინც ჰფიქრობს, მე პირს დავადებ, გულხელ დავიკრებ და ფული თავისთავად მომივა და გამაღონიერებსო, ის ფულითაცა და უფულოდაც უძლურია და უღონო. ამიტომაც მართალზედ მართალია, ვისაც უთქვამს, რომ “ზოგი მდიდარია, თუნდ ერთის დღის მიწა ჰქონდეს, ზოგი ღარიბია, თუნდ თავიდან ფეხებამდე ოქროში იჯდესო— საქმე გარჯა და მხნეობაა.”



### **EthicCapital** Credit Union

ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი,  
XVIII კორპუსი, II სადარბაზო, I სართული  
0183 თბილისი

ტელ: (+995) 32 2 30 43 69  
ელ-ფოსტა: [info@ethiccapital.eu](mailto:info@ethiccapital.eu)  
[ethiccapital.eu](http://ethiccapital.eu)

## EthicCapital

Credit Union

იფი კრედიტი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისთვის

### ილია ჭავჭავაძე

### კრედიტისა და ფულის შესახებ



“ჩვენში თითო-ოროლა კანტი-კუნტად თუ სადმეა იმისთანა კაცი, რომელიც ჯერ ასჯერ გაზომავს, ვიდრე ვალს აიღებს და თუ აიღებს, იმ ზომით და იმ თადარიგით, რომ ვალის ხდა შესაძლო იყოს მამულისათვის და მამულიც მეტი შემოსავლიანი გაჰხადოს.”

### ვალი მაინც ვალია

“ვალი, რაც უნდა მცირე სარგებლიანი იყოს, მაინც ვალია და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი კაცისათვის თუ მამულისათვის დიდი ზარგი, დიდი ტვირთი არ იყოს.

ბუნება ვალისა ის არის, რომ ყოველთვის და ყველგან იგი სამძიმოა, თუნდა უსარგებლოდაც იყოს აღებული. რასაკვირველია, ამ სიმძიმის მეტ-ნაკლებობას ბევრი თაბაუთი აქვს ეკონომიურ ცხოვრებაში, მაგრამ უქმის კაცისათვის ეს თაბაუთიც თითქმის არ არსებობს.

კაცი, რომელიც ვალს იღებს მარტო იმისათვის, რომ გამოუყენებლად მოიხმაროს, გაჰფლანგოს, ქეიფსა და ლხინში გადააგოს, იმისათვის ვალის შოვნის გზა ხსნა კი არ არის, არამედ გზაა დაღუპვისა და განადგურებისა.



კრედიტი, რომელსაც ფული მოაქვს, ორპირი დანაა. ამ დანით კაცი გაჭირების იარაღსაც მოითლის და გასაღდება და ყელსაც გამოიჭრის იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოიხმარა შემწეობა კრედიტისა. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ვალი, თუნდა ძალიან სუბუქიც, თავისთავად რისიმე წამალი იყოს.

ადამიანის გამრჯელი ხელი, გაგებული შრომა, ცნობიერი მოქმედება მიანიჭებს ხოლმე ვალს იმ უნარს, რომელიც კაცს გაჭირებისაგან იხსნის და ახეირებს.

ვალის აღებით კაცმა უნდა ქონება, შეიძლება მოიმატოს, და ამისთანა კაცისათვის არავითარი ვალი საშიშარი არ არის, იმიტომ რომ იგი ვალად აღებულს ფულს თვითონაც გამორჩება და ვალსაც გაუძღვება, რაკი მამულს, თუ სხვა რამ საქმიანობას გაიძლიერებს, გაიმატებს.”

### კრედიტი ორპირი მახვილია

“კრედიტი ორპირი მახვილია, ეგ იმაზე არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს.

თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია, ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიკური ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა მწელად იგულისხმება.“

